ახალი გენერალი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

„განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ„

2023 წელი 30 ივნისი №6 (8193) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა გრძელდება
გვ2.

გზა მშვიდობისა!
გვ3.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამით"
გვ2.

ჩემპიონატები, ტურნირები, შედეგები, გამარჯვებულები, ჯილდოები...
გვ6.

მენაბდიშვილები: სიმღერა _ ექვსი თაობის თანამგზავრი
გვ5.

გიორგი სააკაძის ფენომენი
გვ7.

ქალთა ფეხბურთი სამთავისში
გვ6.

ოლიმპიადა
გვ4.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში
გვ7.

ყველი, რომელსაც ცხემშობლო ფყვარდა
გვ7.

შეხვედრა ახალგაზრდა მწერლებთან

დოღი კავთისხევში
გვ6.

გახლით ჩვენი მკითხველი!

ოფიციალური ქრონიკა

კასპის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა გრძელდება

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულთან მიხეილ შაყულაშვილთან, რწმუნებულის პირველ მოადგილესთან სიმონ გულედანთან და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან ერთად მიმდინარე საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოებს კასპში, სოფელ აღაიანსა და გოზალოღლებში გაეცნო. მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება პრიორიტეტულია, მათ შორის სოფლად მისასვლელი გზების. ასფალტირდება ისეთი გზებიც, სადაც დღემდე ასფალტი არასოდეს ყოფილა. ჩვენი მიზანია მოსახლეობამ გადაადგილება კეთილმოწყობილი, კომფორტული გზებით შეძლოს - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე

ქალაქ კასპში, მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასფალტ-ბეტონის საფარის პირველი ფენის დაგების სამუშაოები მიმდინარეობს.

ასფალტის დაგების სამუშაოების მიმდინარეობას მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ადგილზე გაეცნენ.

სამუშაოების დათვალიერებისას მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ აღნიშნა, რომ ორივე დაწესებულება მოსახლეობის ჯანმრთელობას ემსახურება და მათი პირობების გაუმჯობესება პრიორიტეტული და აუცილებელია.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამით"

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სოფელ ოკამში სოფლის ეკლესიასთან მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი ზურაბ გელიტაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ადგილზე გაეცნენ.

აღნიშნული გზით, რომლის სიგრძეც 290 გრძივი მეტრია, 80-მდე ოჯახი სარგებლობს. გზა, ასევე, სოფლის სასაფლაომდე მისასვლელიცაა.

პროექტი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება, რომელსაც ი/მ დავით სუხაშვილი ახორციელებს.

"დამრეცი გზა მოსახლეობისა და ტრანსპორტის გადაადგილებას საშიშროებას უქმნიდა, განსაკუთრებით ნალექიან ამინდში. გამართული ინფრასტრუქტურა კი უზრუნველყოფს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას" - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

სოფელ ახალციხის საჯარო სკოლაში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალციხის საჯარო სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა მიმდინარეობს. აღნიშნულ სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და მერის მოადგილე ზურაბ კოპაძე ადგილზე გაეცნენ.

პროექტი ცენტრალური ბიუჯეტიდან 78 222 ლარის ფარგლებში ფინანსდება და შპს "გურიამშენი" ახორციელებს.

- სკოლა დღემდე გასათბობად შეშის ღუმელებს იყენებდა. პროექტის დასრულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

სოფელ დოესში

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, მერის მოადგილემ ზურაბ კოპაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა სოფელ დოესის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის ეზოში ახლადმოწყობილი საბავშვო გასართობი სივრცე და ბაღის შენობა დაათვალიერეს. ეზოში მოეწყო სხვადასხვა გასართობი საშუალება, მრავალფუნქციური სასრიალო, საქანელა, ზამბარიანი სათამაშოები, აიწონა-დაიწონა და დასასვენებელი სკამები. კეთილმოწყობილ საბავშვო ბაღის შენობაში პატარებს განათლების მისაღებად ყველა საჭირო პირობა აქვთ შექმნილი.

როგორც ვახტანგ მაისურაძემ აღნიშნა, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში საბავშვო სივრცეები აუცილებელია, შესაბამისად ყველა იმ საბავშვო ბაღში მოეწყობა ეზო, სადაც დღემდე არ არსებობს.

მიმდინარე წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ქვეყნის მასშტაბით, 885 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება - შესაბამისად კასპის მუნიციპალიტეტში 8 ახალი საბავშვო ბაღი აშენდება.

13 ივნისის წყალდიდობიდან 8 წელი გავიდა

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა სოფელ აღაიანში პატივი მიაგეს მეხანძრე-მაშველის ზურაბ მუზაშვილის ხსოვნას.

2015 წლის 13 ივნისს, მდინარე ვერეს ადიდებისას ზურაბ მუზაშვილმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სიკვდილს 7 ადამიანი გადაარჩინა - თვითონ კი მდინარეში გაუჩინარდა. ზურაბის ცხედარი წყალდიდობიდან მესამე დღეს "მზიურის" პარკის ტერიტორიაზე იპოვეს, ის 37 წლის იყო. მეხანძრე წყალდიდობის დროს გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობის, სამაგალითო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და თავდადებისათვის სიკვდილის შემდეგ მედლით "სამოქალაქო თავდადებისთვის" დაჯილდოვდა, ხოლო თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ნუცუბიძის პლატოზე ზურაბის სახელი ეწოდა.

ზურაბის სახელი მინიჭებული აქვს მშობლიური სოფლის აღაიანის სპორტულ დარბაზს, იგი მოჭიდავე იყო.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა გრძელდება

ხეთაგუროვის ქუჩაზე

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი მჭედლიშვილმა ე. წ. ქარწისის დასახლებაში, ხეთაგუროვის ქუჩაზე და ქუჩიდან გამავალ ჩიხებზე ასფალტის საფარის პირველი ფენის დაგების სამუშაოების მიმდინარეობა დაათვალიერეს.

1480 გრძივი მეტრი სიგრძის ქუჩის რეაბილიტაციას ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ქვენიფლენი" ახორციელებს. პროექტის ღირებულება 534 999 ლარია და რეგიონული განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

როგორც მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა: აღნიშნული ქუჩის ასასვლელზე ჯერ ბეტონის საფარი მოვაწყვეთ და მოსახლეობასთან ქუჩის სრული მოასფალტება დავაანონსეთ. მომზადდა ქუჩის კეთილმოწყობის პროექტი და ახლა უკვე გზის მოასფალტების სამუშაოებს ვახორციელებთ.

წერეთლის ქუჩაზე

ქალაქ კასპში წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია/მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს. ქუჩაზე ასფალტის პირველი ფენის დაგების სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა ზურაბ გელიტაშვილმა ადგილზე დაათვალიერეს.

პროექტს შპს "დინგრუპი" აწარმოებს, სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომლის ბიუჯეტი 840 008 ლარს შეადგენს.

პროექტის ფარგლებში 1 500 გრძივ მეტრ ქუჩაზე ეწყობა ეზოში შესასვლელები, საფეხმავლოები, ნარჩენი ურნის ჯიბეები, რკინა-ბეტონის კიუვეტები ცხაურებით და საგზაო ნიშნები. წერეთლის ქუჩა მჭიდროდ დასახლებული ქუჩაა და დღემდე მასზე ასფალტის საფარი არასდროს ყოფილა, ამდენად მნიშვნელოვანია მიმდინარე სამუშაოები, რათა მოსახლეობამ გადაადგილება მალე კეთილმოწყობილი და კომფორტული ქუჩით შეძლოს - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

სოფელ ხოვლეში

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი მჭედლიშვილი "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში სოფელ ხოვლეში დასრულებულ და მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ.

სოფელში 1 300 გრძივი მეტრი ორი შიდასაუბნო გზის მოხრეშვა - მოშანდაკების სამუშაოები ჩატარდა. ამჟამად 79 გრძივ მეტრზე მიმდინარეობს რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა კიუვეტებით, რომლის ბიუჯეტი 11 035 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს ინდ. მეწარმე დავით კოშაძე ასრულებს. სამივე პროექტი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის გადაწყვეტილებით იქნა მიღებული.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

გზა მშვიდობისა!

ისინი არა მარტი ჩამოჰგავან, ანდა ემსგავსებიან ცის კაბადონზე მობრდღვიალე და ცხოველმანათობელ მზეს, არამედ თვითონ არიან მისი მინიგანსახიერებანი. ახლა რამდენი მზეა ჩვენს ოჯახებში, ჩვენს გარშემო, ჩვენს ქვეყანაში?!

აბა, დაისვით წინ, გაუწყეთ ფანქარსაღებავები და ქაღალდი ათობით, ასობით სკოლამდელი ასაკის გოგონას და ბიჭუნას და სთხოვეთ, დახატონ მათთვის საყვარელი საგანი, ნივთი... ისინი, იცით, რას დახატავენ? – მზე(ებ)ს!

დიახ, ისინი ათობითა და ასობით არიან: ჩვენი ყოფისა და არსობის, ჩვენი ცხოვრების პატარ-პატარა მზე(ები) – ცეროდენები და ტანადნი, უკვე ნამდვილი "ჭკუის კოლოფები", ნიჭიერები და გონებაცინცხალნი, ენატკბილად მოლექსენი და მეზღაპრენი, კარგი გოგობიჭების დარად ცერის თითებზე მოცეკვავენი და სახიერად გაცისკროვნებულნი, ახალნერგნი და იმედნი ქართული ოჯახებისა, დედასამშობლოსი...

მიმდინარე წლის ივნისში 398 აღსაზრდელი ემშვიდობება კასპის მუნიციპალიტეტის მერიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემომავალი 28 საბავშვო ბაგა-ბაღის სივრცობრივ გარემოს.

ჩვენი გაერთიანების დირექციის, ჩვენი კოლექტივის თითოეული სპეციალისტისა და თანამშრომლის სახელით გულითადად მივესალმებით ჩვენი ბაღების პედაგოგიური კოლექტივების ყველა ბავშვს! გზას დავულოცავთ მომდევნო და დიდმნიშვნელოვანი ეტაპის – სასკოლო აღზრდის – კარიბჭესთან მდგომთ: კეთილი იყოს გზასავალი სკოლისაკენ!

დიახ, ჩვენო ძვირფასო პატარებო! წლევანდელი სექტემბრიდან თქვენ მოგელოდებიან ქ. კასპის მეორე საბავშვო ბაგა-ბაღი (დაამთავრა 21 აღსაზრდელმა): გამგე მზიური ჭაღიანი და სახიერად გაცისკროვნებულნი, ახალნერგნი და იმედნი ქართული ოჯახებისა, დედასამშობლოსი...

მიმდინარე წლის ივნისში 398 აღსაზრდელი ემშვიდობება კასპის მუნიციპალიტეტის მერიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემომავალი 28 საბავშვო ბაგა-ბაღის სივრცობრივ გარემოს.

ჩვენი გაერთიანების დირექციის, ჩვენი კოლექტივის თითოეული სპეციალისტისა და თანამშრომლის სახელით გულითადად მივესალმებით ჩვენი ბაღების პედაგოგიური კოლექტივების ყველა ბავშვს! გზას დავულოცავთ მომდევნო და დიდმნიშვნელოვანი ეტაპის – სასკოლო აღზრდის – კარიბჭესთან მდგომთ: კეთილი იყოს გზასავალი სკოლისაკენ!

დიახ, ჩვენო ძვირფასო პატარებო! წლევანდელი სექტემბრიდან თქვენ მოგელოდებიან ქ. კასპისა და სოფლების სკოლებში! ჩვენო კოლეგებო, სკოლების დაწყებითი კლასების პედაგოგებო, მიიღეთ ჩვენგან ესტაფეტური გზავნილი თქვენს კედლებში! დაე, საჯარო-საგანმანათლებლო სივრცეში კაშკაშებდეს ახალ-ახალი მზე(ები)!

***

2023 წლის ივნისში საზეიმო ღონისძიებები გაიმართა ქ. კასპის ხუთივე სკოლამდელ დაწესებულებაში (სკოლისაკენ გზა დაელოცა 162 აღსაზრდელს).

ქ. კასპის პირველი საბავშვო ბაგა-ბაღი (დაამთავრა 21 აღსაზრდელმა): გამგე მზიური ჭაღიანი, აღმზრდელი თეა პაიჭაშვილი, თანაშემწე თამარ ბერიანიძე, ძიძა მანანა მერებაშვილი, მუსიკის პედაგოგი შორენა ჯოჯიშვილი, მეთოდისტი ხათუნა ხვთისიაშვილი.

ქ. კასპის მეორე საბავშვო ბაგა-ბაღი (დაამთავრა ორი ჯგუფის 43 აღსაზრდელმა): გამგე თამუნა ხოკრიშვილი; პირველი ჯგუფის აღმზრდელი ნანა დალაქიშვილი, თანაშემწე ლელა შალუტაშვილი, ძიძები ნათია ჩხაიძე და ნინო ბატკუაშვილი, მეთოდისტი ეკა ქარჩავა, მუსიკის პედაგოგი ნანა ზოტოვა; მეორე ჯგუფის აღმზრდელები ირმა მილაძე და ელიზა ბაშარული, თანაშემწე თამარ ბაინდურაშვილი, ძიძები ნათია მაზანაშვილი და ირინა მარქარაშვილი.

ქ. კასპის მესამე საბავშვო ბაგა-ბაღი (დაამთავრა 29 აღსაზრდელმა): გამგე თეა ქუტაშვილი, აღმზრდელი ხათუნა მერებაშვილი, თანაშემწე ირინე მენაბდიშვილი, ძიძა ირმა ბიძინაშვილი, მუსიკის პედაგოგი ლაურა ხასიევა, მეთოდისტი ლალი დონდუაშვილი.

ქ. კასპის მეოთხე საბავშვო ბაგა-ბაღი (დაამთავრა 34-მა): გამგე დალი კოტეტიშვილი, აღმზრდელი მაია აბეწვაშვილი, თანაშემწეები ირმა მერებაშვილი და ქეთევან ცუცუნაშვილი, ძიძა ლალი ოთიაშვილი, მუსიკის პედაგოგი ნაზიბროლა სეფაშვილი, მეთოდისტი ლუიზა ბაინდურაშვილი.

ქ. კასპის მეხუთე საბავშვო ბაგა-ბაღი (დაამთავრა 35 აღსაზრდელმა): გამგე ლალი მილაძე, აღმზრდელები თინათინ თინიკაშვილი და ნანა ჯამალაშვილი, თანაშემწე ოლია ბერიძე, ძიძა ია ხარაზიშვილი, მეთოდისტი ნაირა დევაძე.

ვეტერანები სამზეოდან ჩუმად გაიარეს

ჯამბულ პაპინაშვილი

60 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ვეტერანი მოჭიდავე ჯამბულ პაპინაშვილი (31.01.1963 – 16.05.2023) – კაცი, რომელიც ჭიდაობისათვის იყო დაბადებული და ამ საქმით სუნთქავდა და ცხოვრობდა, სამოკავშირეო რგოლად ალამდარობდა საკუთარი საგვარეულო და ოჯახური სპორტული თაობების დინასტიურ ჯაჭვჩაშლელობაში. იგი იყო შვილი და შვილიშვილი, ანუ მიმდევარი მამა-პაპათა საჭიდ(ილ)აო საქმეთა – ამირან პაპინაშვილისა (1939–1985), სპორტის ყველაზე ეროვნული სახეობის ჭეშმარიტი ოსტატისა, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონისა; პაპა მიხეილისა და მისი ძმა ლუარსაბისა, ასევე, ძველდროების ნაცადი მოჭიდავეებისა... იგი გახლდათ მამა და დამკვალიანებელი, პირველი მწვრთნელი ორი ძისა – ამირანისა და ჯაბასი, რომელთაც ყველანაირი საკვარცხლბეკო საფეხური გაუთავისებიათ, ბრაზილიური ოლიმპიადა მოუხილავთ, ქვეყნის ძიუდოს ნაკრებში ერთ წონაში წლობით გამოსულან და საქართველოს ჩემპიონის ტიტულისათვის საფინალო ორთაბრძოლაშიც დაწყვილებულან... საკუთარი წილი სასპორტო წოდებები და ტიტულები? – აგერ, მცირე დოსიე თელიანელი (ყოფილი ყარაღაჯი) კაი ყმა ჯამბულ პაპინაშვილისა:

საქართველოს ნსს "კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობის გამარჯვებული ჭაბუკთა შორის (1978), ახალგაზრდული ნაკრების წევრი (1981–83), საქართველოს მე-8 სპარტაკიადის მე-3 პრიზიორი ჭიდაობა სამბოში და ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, რისთვისაც ორივე სახეობაში მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება.

ახლახან მისი გარდაცვალებიდან 40 დღე გასრულდა.

სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

ეიმედოგროთ! ძვირფასო პატარებო, კარგა ხანია ვეწვიდ ლ ო ბ თ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სნორად, ისეთ რამეებზე რაზე სასაუბროდაც მშობლებს სსსულ არ სწვლიათ...

თქვენ ახლა გაწილებით ბევრი იწით ვიდრე შარშან და თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო, საიამოვნო და სახალისო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საგანძურზე...

მაშ ასე, გამოგვიგზავნეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში დაელოდეთ პასუხს.

შეხვედრამდე!

ეიმედოგროთ! ,,ეეხურა,,

ჩემპიონატები, ტურნირები, შედეგები, გამარჯვებულები, ჯილდოები...

ქვემოთ მიმოვიხილავთ ა. წ. 20 მაისიდან 20 ივნისამდე კასპსა და დედაქალაქში გამართულ რამდენიმე საქვეყნო ჩემპიონატსა თუ ღია ტურნირს, მემორიალურ თუ სახელობით ასპარეზობას, სადაც მეტ-ნაკლები წარმატებით გამოვიდნენ კასპელი სპორტსმენები – უკვე ცნობილები თუ ჯერაც მოსწავლეები. გაგაცნობთ მათ ვინაობას და გეტყვით მათ მიერ დამსახურებულად მოპოვებულ ჯილდოებსა და პრიზებზე.

ტაეკვონდო (20-21 მაისი): ქ. კასპის სპორტკომპლექსის სასპორტო დარბაზში ჩატარებულ წლევანდელ საქართველოს ჩემპიონატში საქართველოს ჩემპიონობა დაიმსახურეს ადგილობრივი "კასპის ტაეკვონდო –კარატე–დოს" კლუბის სპორტსმენებმა დემეტრე ნავროზაშვილმა და მარიამ მანძულაშვილმა. მეორე ადგილი დაიკავა თამარ აზმაიფარაშვილმა. მესამეზე გავიდნენ ლევან პაპიაშვილი და თამაზ ნავროზაშვილი.

ჩემპიონატი მაღალ სპორტულ დონეზე წარიმართა. მასში 400-მდე მონაწილე გამოვიდა. გუნდური ადგილები ასე განაწილდა: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი.

კალათბურთი (25 მაისი): კასპში გაიხსენეს კალათბურთელი და მწვრთნელი კოტე ჩხარტიშვილი (1947 – 2003). მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ რესპუბლიკურ ტურნირში წელს იასპარეზეს 2010–11 წლებში დაბადებული მოსწავლე კალათბურთელების გუნდებმა. ჩემპიონობა მოიპოვეს და გარდამავალი თასი დაიმსახურეს კასპის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების (დირექტორის მ/შ შოთა გოგიაშვილი, მენეჯერი ჯუმბერ სიდამონიძე) მოთამაშეებმა. გუნდის წევრები: დათო იაშვილი, ლაშა ბეჟუაშვილი (ის, როგორც შეჯიბრების ყველაზე მცირეასაკოვანი და სასარგებლო მოთამაშე, გახდა სპეციალური პრიზის მფლობელი), რატი დვალიშვილი, ნიკა ივანიშვილი, შაკო კავთიაშვილი (კაპიტანი და ტურნირის საუკეთესო მოთამაშე), გიორგი კასრაძე, დანიელ ხალიშვილი, თამაზ მამულაშვილი და ვანო ზაქარიძე (გუნდის მწვრთნელები ირაკლი მელუა და ლევან გეჯაძე).

ტურნირის ვიცეჩემპიონი გახდა თბილისის გუნდი "ელვა" (შარშანდელი გამარჯვებული). მესამე და მეოთხე ადგილები დარჩათ გორისა და ბორჯომის გუნდებს.

კიკბოქსინგი (27–28 მაისი): საქართველოს კიკბოქსინგისა და ტაიბოქსინგის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი ლაშა ჭურაძე) ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით 2023 წლის ჩემპიონატი კასპში ჩატარდა. ორდღიან ასპარეზობაში მონაწილეობდნენ 2006–07 წლებში და 2008–09 წლებში დაბადებული სპორტსმენები ჩვენი ქვეყნის 25-ზე მეტი ქალაქიდან.

კასპელი კიკბოქსინგელების გამოსვლას რაც შეეხება, მათ ნამდვილად წარმატებით იასპარეზეს: მწვრთნელი ოთარ თოიძის შეგირდებიდან გაჩემპიონდნენ ნიკა ბერიანიძე და ოთარ ხმალაძე, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა გიორგი ახვერდოვმა. მათ იასპარეზეს შესაბამისად, 45, +85 და 51 კილოგრამამდე წონით კატეგორიებში. დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობდა კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზურაბ კოპაძე.

ჭიდაობა ძიუდო: მაისის ბოლოს ქ. ბორჯომში გამართული ღია პირველობიდან ორი მედლით დაბრუნდნენ ვეტერანი მწვრთნელის, ნუგზარ მამულაშვილის შეგირდები: პირველი ადგილის დაკავებისათვის "ოქრო" ერგო ოთარ ქოთოლაშვილს, ხოლო "ბრინჯაო" – ლუკა მღებრიშვილს.

მძლეოსნობა, კროსი (3 ივნისი): "შიდა ქართლის საზაფხულო სპორტული თამაშები – 2023"-ის პროგრამით გათვალისწინებული პირველი სახეობა – კროსგარბენი – კასპში კოსტავას ქუჩაზე გაიმართა. მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს და სტარტზე შეიკრიბნენ ჩვენი გაერთიანების სპორტული სექციებისა და ჯგუფების მოსწავლე სპორტსმენები, კასპისა და სოფლების საჯარო სკოლების მოსწავლეები, ასევე, სირბილის მოყვარული და მიმდევარი ახალგაზრდები (სულ 84 კაცი).

გარბენში გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა 30 წლის მორბენალმა თორნიკე რუსიტაშვილმა (სოფ. სამთავისი). მეორე მივიდა ფინიშის სწორზე მეთერთმეტეკლასელი ჯუმბერ ჯანანაშვილი (სოფ. ხოვლის საჯარო სკოლა). მესამე პრიზიორი კი გახდა 19 წლის ჯარისკაცი – კონტრაქტორი ლუკა ფეიქრიშვილი (სოფ. აღაიანი).

გარბენის ჩემპიონსა და პრიზიორებს ჯილდოები (თასები, დიპლომები და ფულადი ვაუჩერები, შესაბამისად 300, 200 და 100 ლარისა) გადასცეს კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, მოადგილემ ზურაბ კოპაძემ და მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ.

ფეინთბოლი (1 ივნისი): ქ. კასპის ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის მინიმოედანზე გაიმართა ჩვენი მუნიციპალიტეტის პირველობა სპორტის ახალ, მაგრამ უკვე პოპულარულ სახეობაში – ფეინთბოლში. სადებიუტო ჩემპიონატში ჩაება კასპისა და სოფლების 10 გუნდი. ჩემპიონობა მოიპოვეს კასპელმა ფეინთბოლელმა ახალგაზრდებმა, რომლებმაც თავიანთ გუნდს "პაბედა" უწოდეს.

გაიცანით პირველი ჩემპიონები: ლაზარე ონიკაშვილი (კაპიტანი), ლუკა ხვთისიაშვილი, გიორგი ირემაშვილი, დავით თათრიშვილი და დავით ირემაშვილი.

კასპელი ახალგაზრდობისათვის სპორტის ესოდენ ექსტრემალური სახეობის (როგორც "ახალი ხიდის") არამარტო გაცნობის, არამედ მასში ჩართულობის საშუალება განაპირობა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის თავკაცთა (მერი ვახტანგ მაისურაძე, მოადგილე ზურაბ კოპაძე) მხარდაჭერამ და, ასევე, სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექციის (მ/შ შოთა გოგიაშვილი) საქმიანმა თანადგომამ.

კასპში ფეინთბოლში პირველი შეჯიბრების ჩატარება უზრუნველყო საქართველოს ფეინთბოლის ფედერაციამ. ის 2017 წელს დაფუძნდა და მისი პრეზიდენტია ლაშა გიგოიძე (კასპში იმსაჯა ოლეგ ზურაბიანმა). ქართველი ფეინთბოლელები წელს პირველად არიან მიწვეული (სტუმრის სტატუსით) მსოფლიო პირველობაზე, რომელიც 30-31 აგვისტოს ჩატარდება საფრანგეთში.

გვესაუბრება ფეინთბოლის ინსტრუქტორი ბერდია მიგრიაული: – ფეინთბოლი არის სპორტულ-ტექნიკური და ექსტრემალური თამაში. ის წარმოადგენს საბრძოლო ქმედებების იმიტაციას. საამისოდ გამოიყენება განსაზღვრული ტერიტორია. მოიხმარება სპეციალური პნევმატური იარაღი, ე. წ. "მარკერი". მის მჭიდში თავსდება გარკვეული რაოდენობის საღებავიანი ჟელატინის ბურთულები. თამაში სად არის შესაძლებელი? – ბევრგან, სადაც კი ტყე, ღია მოედნები, შენობები, ბუნებრივი და ხელოვნურსაფარიანი მოედნებია. ვიყენებთ საგანგებოდ მოწყობილ ბარიერებსა და საფრებს. ფართი დაახლოებით 30 X 40 მეტრზეა და შემოისაზღვრება ბადით. გუნდში ერთიანდება სხვადასხვა რაოდენობისა და ასაკის მოთამაშე. თამაში 10-წუთიანია (ორო 5–5-წუთიანი ტაიმით). მონაწილეებს აცვიათ კომუფლირებული ფორმა, ხოლო სახეს იფარავენ დამცავი ნიღბით. პრინციპი მდგომარეობს მეტოქე გუნდის წევრთა გამოთოფვით თამაშიდან გამოთიშვაში. საინტერესოა, რომ ფეინთბოლის პირველობები საქართველოს უკვე 40-ზე მეტ მუნიციპალიტეტში ჩავატარეთ. რაც მთავარია, გვყავს ნაკრები გუნდიც. გვახარებს, რომ ფეინთბოლი კასპშიც ინერგება...

დასასრული გვ

ქასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში

პროექტ "კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების ისტორიის ფურცლების" ხელშეწყობის და ბიბლიოთეკების კვირეულთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 5 მაისს კასპის რაიონული ორგანიზაციის ქალთა საბჭოს (თავმჯდომარე მანანა ყაბანაშვილი) სტუმრობდა საქართველოს ქალთა აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი ქეთევან გაბრუაშვილი და მწერალი, პუბლიცისტი, ქალბატონი ანა ყურშავიშვილი.

ღონისძიება გაიმართა კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში (მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი). სტუმრებმა დაათვალიერეს გამოფენა "ჩვენებური კალმოსნები", სადაც წარმოდგენილი იყო საინტერესო ლიტერატურა: ეკატერინე გაბაშვილის, გივი კარბელაშვილის, გიორგი ხორგუაშვილის, ვაჟა ოთარაშვილის, ნორა ედიშერაშვილის, თამარ გაბოძის, იზოლდა ბერიანიძე–კაციაშვილის, ნინო მოდრეკილაძის, ეთერ მონასელიძის, უშანგი მოსიაშვილისა და სხვათა შემოქმედება.

ღონისძიებაზე კასპის რაიონული ორგანიზაციის ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დასახელდა გ. ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი ნანა მერებაშვილი.

ქალბატონმა მანანა ყაბანაშვილმა დამსწრეთ გააცნო ბიბლიოთეკების თანამშრომელთა ღვაწლი პროფესიულ საქმიანობაში და აღნიშნა, თუ როგორ სითბოსა და ყურადღებას იჩენენ ისინი მკითხველის მიმართ.

საქართველოს ქალთა აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან გაბრუაშვილმა ქალთა საბჭოს სახელით მადლიერების სიგელები გადასცა ბიბლიოთეკარებს: ხათუნა ბახუაშვილს, ზაირა ბარნოვს, დალი მარქარაშვილს, მერი გზირიშვილს, მაია აბუაშვილს, ნინო აღაპიშვილს, მანანა შავეღაშვილსა და ეკა კიტრიაშვილს. საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში წარმატებები უსურვა მათ და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში კვლავ დასახელდება საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართული ქალბატონების სახელები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი დალი კორკომაშვილი, ქალთა საბჭოს წევრი გიული სოზიაშვილი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტი იზაბელა კობიაშვილი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტი ლია მენაბდიშვილი და სხვ.

დამსწრე საზოგადოების წინაშე მხატვრული კითხვით წარდგნენ მოსწავლეთა სახლის შემოქმედებითი (ხელმძღვანელი მ. ყაბანაშვილი) და მხარეთმცოდნეობის წრის (ხელმძღვანელი ნ. მერებაშვილი) წევრები: უჩა გოგოლაძე, ბარბარე ჩარაევი, მარიამ ყაზარაშვილი, მარიამ კახიშვილი, მარიამ ჟივიძე, ლიკა ლეონიძე, ნანა ილურიძე, გიორგი და ლიზი ხუციშვილები და ლაშა ქორთიაშვილი.

გალობის წრის (ხელმძღვანელი ლალი კალატოზიშვილი) წევრებმა ნინი შერმადინმა და ელენე გოგიტიშვილმა ქართული გალობით დაატკბეს მსმენელი.

დასასრულს მოსწავლეთა სახლის მენეჯერმა ლელა პეტრიაშვილმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორსა და სტუმრებს საინტერესო და შინაარსიანი დღისათვის.

მწერალმა ანა ყურშავიშვილმა კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს საჩუქრად გადასცა ემიგრანტული ლიტერატურა.

კასპის ქალთა საბჭოს და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სახელით სტუმრებს სამახსოვროდ წმ. ანას და წმ. ქეთევანის ხატები გადაეცათ.

მენაბდიშვილები: სიმღერა – ექვსი თაობის თანამგზავრი

მომღერალი ოჯახები

თავადმა ამილახვარმა კარის მომღერალი გულთან მიუშვა, მერე ზედაც მიიბა. ქვემო ჭალაში გადასვლა და დასახლება ურჩია, – ლეხურას რამდენჯერ უნდა ჩაუყვე და ამოუყვე, ბარე ახლოს გაიჩინეო კერა... კასპელისაგან მტკიცე უარი მიიღო, არა სწყენია, აკი ვთქვით, მისთვის პატივგება განეზრახა.

აი, მაშინ იყო, რომ გიორგი მენაბდიშვილმა საკარმიდამო ნაკვეთი თავადი ამილახვრისაგან ძღვნად ისაჩუქრა. მჩუქებელთან ერთად ფეხდაფეხ შემოიარა ვრცელი ფართობი, რომელიც ამჟამად მოქცეულია კასპის ადმინისტრაციული შენობისა (რომელშიც ადრე განთავსებული იყო რაიკომი, დღეს კი მერიას ეკუთვნის) და 60-ბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიიდან სარკინიგზო სადგურამდე.

გიორგი ჭკვიანი კაცი იყო. ვაჟიშვილები წამოესწრო. მეტი რა სიმდიდრე უნდა ნდომებოდა. მთელი ფართი სამ ვაჟიშვილს უანდერძა. მათი შტო დღევანდელ კასპში ცნობილია "მენაბდიაანთ უბნის" სახელით (აქ უდგიათ სახლები ზაზა, არტურ, ნუგზარ, გივი, თემურ მენაბდიშვილებს).

მაშინ კი, ძველად, სოფელ კასპის განაპირას, ბოლო სახლთან ჩამოდიოდა სარწყავი რუ, რომელსაც "ჩახრიალას" ეძახდნენ. აი, იქ, ამჟამინდელი სამანქანო გზის ქვეშ გამავალი გვირაბის ყელთან, მენაბდიშვილებმა წისქვილი ჩადგეს.

სამი ძმა – ვანო, შაქრო და არტემი – წისქვილს მონაცვლეობით პატრონობდა, სარგებელს თანაბრად ინაწილებდა და, მართლაც, ძმურად იყოფდა.

შუათანა ძმამ, ზაქარია (შაქრუა) მენაბდიშვილმა, რომელსაც მამაზე არანაკლებ ემარჯვებოდა მღერა-გალობა და სალექსო სტრიქონებისთვისაც შეებედა, პოეტურად უკვდავყო სამმო წისქვილი:

"ეს მენაბდიაანთ წისქვილი
ჯამნახევარსა ფქვავდაო,
იმისი მეწისქვილე კი
კოდნახევარსა სჭამდაო.
ამ მენაბდიაანთ წისქვილმა
გარს შემოიდო ხრილია,
სულაც ჩვენ, სამ ძმას, მიგვქონდა,
სხვებს არ დავუდეთ წილია!"

შაქრუა მენაბდიშვილი, ვისაც კასპში "ზახარ ზახარიჩის" მეტსახელით იცნობდნენ – კაი გლეხი და მეურნე, მომღერალი და მოლექსე, ზედაც მეწისქვილე – იმ ძირძველი კასპელი კაცების რიგებიდანაა, ვისაც განგებამ არგუნა მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში (1914–18 წლები). იმპერიალისტური ქარტეხილებიდან შინ კი მობრუნდა, მაგრამ ორივე ფეხში მძიმედ დაჭრილი. ეს კი არა, სულაც დაღუპულად მიაჩნდათ კასპში, რადგანაც ფრონტიდან მისგან კარგახანს აღარაფერი ისმოდა. ბოლოს, მოლოდინში შინაურებს გული რომ გადაეწურათ, მისი სულის საცხონებლად ხარიც დაკლეს და მოსახსენიებელი გრძელი სუფრა გაშალეს...

სოფელ კასპში "შავიპურისმჭამელთა" განცვიფრება მაშინ უნდა გენახათ, როცა მენაბდიაანთ კარს მიადგა ორი უცნობი სამხედრო. ისინი აზერბაიჯანელები იყვნენ. მათ შინამდე მიაცილეს ყავარჯნებიანი თანამებრძოლი... ჰოდა, ჭირის სუფრა ლხინად გადაიქცა!

შაქრუა მენაბდიშვილი მაშინ 28–29 წლის ჯეილი იყო, თუმცა ომგამოვლილი გაცილებით მეტი ასაკისა გამოიყურებოდა... მალე მომჯობინდა. მერე, მთელი ცხოვრება, ვიდრე მოკვდებოდა, ულვაშებდამშვენებული დადიოდა, თავისივე განუყრელი ნაბდის ქუდით. ძველ კასპში რუსული წერა-კითხვა მხოლოდ მან იცოდა (მან და იმ დიდი ომის კიდევ ერთმა კასპელმა მონაწილემ – სანდრო გზირიშვილმა).

ის უკვე ახალ კასპში გარდაიცვალა: 85 წლისა, 1973-ში.

*** გიორგი მენაბდიშვილს ქალიშვილიც ჰყავდა – ვარვარა, ვაჟების გარდა. შაქრუამ სწორედაც საყვარელი მამიდას სახელი დაარქვა შემდგომში თავის უმცროს ქალიშვილს. უფროსმა კი, ელენემ, სოფ. ქვემო ხვითში (გორის რაიონი) შექმნა ოჯახი.

საინტერესოა, უთუოდ, ვანო, შაქრუა და არტემ მენაბდიშვილების ერთადერთი დისშვილის ცხოვრებისეული ისტორია:

ლევან კაზაროვი, რომელიც 1935 წელს გადასახლდა უკრაინაში, უკვე ასაკოვანი, 70 წლისა, მობრუნდა კასპში...

იგი მთელი საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი პროფესიონალი ავტომძღოლი იყო. საქმე ისაა, რომ 1937-დან, ევროპაში გაჩაღდა თუ არა მეორე მსოფლიო ომი, სწორედაც მძღოლად იბრძოდა ყველა ფრონტზე...

ჰოდა, მობრუნდა ეს კაცი კასპში, მოინახულა ყველა წინაპრის საფლავები. მათგან ცოცხალი დახვდა ერთადერთი ბიძა – შაქრუა მენაბდიშვილი.

– არა, ბიძაჩემო, კასპიდან მეორედ ფეხს აღარ გავადგამ, – გადაწყვეტით გამოუცხადა საყვარელ ბიძას.

მართლაც, ლევან კაზაროვი, კასპელი მენაბდიშვილების სისხლი და ხორცი, რომელიც აქაურობისა და აქაურების ხატებასა თუ სახებას მთელ ევროპაში დაატარებდა, აღარ მიბრუნებულა უკრაინაში. კასპში დაბინავდა შაქრუა ბიძის ჭერქვეითში. აქვე მიიცვალა. ის დაკრძალულია მენაბდიშვილების საგვარეულო სასაფლაოზე.

*** ახლა, ნამდვილად დროა, მენაბდიშვილების მესამე თაობის ღირსეული წარმომადგენელი გაგაცნოთ: შაქროს ვაჟიშვილი – ალექსანდრე მენაბდიშვილი (1930 წლის 10 ოქტომბერი – 2004 წლის 16 აპრილი).

თეატრალური ინსტიტუტის მუსკომედიის განყოფილების პირველი გამოშვება. მარცხნიდან მეორე ალ. მენაბდიშვილი. 1960 წ.

პატარა ალექსანდრე სკოლაშივე გამოირჩეოდა სიმღერისადმი მიდრეკილებითა და ფანატიკური სიყვარულით, უიმისოდ არც ერთი საზეიმო ღონისძიება არ ჩატარდებოდა კასპის პირველ სკოლაში. თითქოს განგების მიერი ნებით, იმ პერიოდში სკოლის მოსწავლეთა კულტურულ ცხოვრებაში სასიმღერო გზებით შემოჭრილიყო მეორე ჭაბუკიც – თენგიზ ზაალიშვილი! და, დასტურ, განგებისავე გამოისობით, ეს ორი სახელი – ალექსანდრე მენაბდიშვილი და თენგიზ ზაალიშვილი – თურმე განუყრელად დაუკავშირდებოდა ერთმანეთს.

პირველი სკოლის მომღერალთა გუნდი, ხელმძღვანელი თენგიზ ზაალიშვილი. ჩოხოსნებში მარცხნიდან მეოთხე ალ. მენაბდიშვილი.

ახლანდელი გადასახედიდან თითქოს საოცარია, მაგრამ ფაქტად შემორჩენილი მაგალითია, რომ უფროსკლასელი ორი მეგობარი – თენგიზი ორი წლით უფროსი იყო ალექსანდრეზე – უმცროსკლასელებს სიმღერას ასწავლიდნენ (პარალელურად, ცალ-ცალკე). მათი გულითადი მეგობრობის დასტურფაქტია ისიც, რომ, როცა ახალგაზრდა თენგიზი ქ. თბილისში წაიყვანეს, ნიჭიერთა ათწლედში სასწავლებლად, მან გვერდში ამოიყენა უმცროსი მეგობარიც. იქ კი, სწავლების პერიოდში, ისინი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ ათწლედის ინტერნატში.

აი, ასე, სასკოლო კედლებიდანა და მუსიკალური ათწლედიდან დაიწყო ალექსანდრე მენაბდიშვილის პროფესიული სამსახიობო და მუსიკალური შემოქმედებითი ცხოვრება. 1951 წელს, მისი დამთავრების შემდეგ, ჩააბარა ქ. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. მოხდა ისე, რომ იმავე წელს თეატრალურ ინსტიტუტში შეიქმნა მუსიკალური კომედიის განყოფილება.

ამ სასწავლებლების რექტორები – ქალბატონი ეთერ გუგუშვილი და ბატონი იონა ტუსკია – შეთანხმდნენ, რომ კონსერვატორია ინსტიტუტს დიდსულოვნად გადაულოცავდა რამდენიმე წარჩინებულ სტუდენტ მომღერალს (ისინი ხომ ორივეგან თითქმის ერთნაირ საგნებს ეუფლებოდნენ). ასე და ამგვარად, ალექსანდრე და მისი კიდევ რამდენიმე თანაკურსელი აღმოჩნდნენ ინსტიტუტის პირველ ჯგუფში, ხოლო შემდგომში ისინი, პირველი კურსდამთავრებულები, გახდნენ მუსკომედიის თეატრის მსახიობები.

გასული საუკუნის 60-ან წლებში ახალგაზრდა მსახიობი ალექსანდრე მენაბდიშვილი და მისი მეგობრები, რომლებიც პარალელურად ირიცხებოდნენ ფილარმონიის თეატრალური ჯგუფის წევრებად (ხელმძღვანელი – გოგუცა კუპრაშვილი), აგიტბრიგადების შემადგენლობებით გასტროლებს მართავდნენ საქართველოს ქალაქებსა (მათ შორის, ცხადია, კასპშიც!) და სოფლებში, სადაც მინისპექტაკლებს დგამდნენ.

აი, 1965–66 სასწავლო წლიდან ალექსანდრე მენაბდიშვილი მშობლიურ სკოლაში ბრუნდება და მომღერალთა ჯგუფს აყალიბებს. განა გასაკვირია, რომ იმ პერიოდიდან პირველი სკოლის მოსწავლე-მომღერლები მთელი საქართველოს მასშტაბით საუკეთე

დასასრული გვ.8.

სპორტ INFO

ჩემპიონატები, ტურნირები, შედეგები, გამარჯვებულები, ჯილდოები...

დასასრული. დასაწყისი გვ4.

თავისუფალი ჭიდაობა (2–3 ივნისი): ქ. ბაღდათში გამართულ ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოვიდა ჩვენი გაერთიანების მოსწავლე სპორტსმენი ნიკა ავლოხაშვილი (პირადი მწვრთნელი მერაბ ბუნტური).

კასპელმა ჭაბუკმა ყველა მეტოქესთან ჩატარებული ორთაბრძოლა თავის სასარგებლოდ დაასრულა და ტურნირის ჩემპიონობა მოიპოვა 52-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

ქართული ჭიდაობა (10 ივნისი): ქ. დუშეთში, იქაური ცნობილი მოჭიდავის ზაურ სიდამონიძის ხსოვნის მემორიალურ ტურნირში, ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა კასპელთა გუნდის წევრს ალეკო ხიზამბარელს. ფინალურ შეხვედრაში მარცხის გამო იგი მეორე ადგილზე დარჩა; მანამდე, შუა მაისში, იმავე მუნიციპალიტეტის სოფელ ჩანადირთკარის საჭიდაო არენაზე გამოსვლა, ასევე, მედლებით დაასრულა კასპელმა ორმა ჭაბუკმა – ნიკოლოზ ოთარაშვილმა და გიორგი მანჯავიძემ. მათ მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს და ბრინჯაოს მედლები ირგუნეს. სამივე მათგანს წვრთნის და შეჯიბრებებისათვის მოამზადა იოსებ მამულაშვილმა. მისმა კიდევ ორმა შეგირდმა – ვასილ ჩერქეზიშვილმა და თემურ ოდოშაშვილმა – 23 მაისს იჭიდავა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გალავანში, სადაც არჩილ ჩოხელის ხსოვნის მემორიალური ტრადიციული ტურნირი ჩატარდა. მათ იქ მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

ჭადრაკი (26 მაისი): საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ თბილისის ჩემპიონატში (10-წლამდე მოსწავლეთა შორის) მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ნიკოლოზ ჯანგიშერაშვილმა (ეს ის ბიჭუკელაა, წლევანდელ თებერვალში კასპში უფროსთა შეჯიბრება რომ მოიგო, რამდენიმე დღეში კი გორში გაიმარჯვა თანატოლებს შორის)... ჩვენი ნიჭიერი ყნაწვილი ქ. თბილისში საჭადრაკო კლუბ "ჩემპიონში" მეცადინეობს მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილის მეთვალყურეობით.

მაგიდის ჩოგბურთი: მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წინამძღვრიანთკარში გაიმართა სტუდენტური პირველობა: ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა, ამავე პიროვნების დაბადების თარიღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, მასში საასპარეზოდ მიიწვია საქართველოს 13 კოლეჯის მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდები, რომლებშიც 3–3 მოთამაშე შედიოდა.

ქ. კასპის პროფესიული კოლეჯიდან გუნდი წარადგინეს გიორგი პაპიაშვილმა, ლუკა სოზიაშვილმა და გიორგი ქერდიყოშვილმა. კასპელმა სტუდენტებმა საკმაოდ დაძაბულ შეჯიბრებაში ყველა მეტოქე დაამარცხეს და, საბოლოოდ, ფინალურ ორთაბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ სათამაშოდ შემორჩნენ გიორგი პაპიაშვილი და ლუკა სოზიაშვილი. მათ შორის ადგილებიც ასეთივე თანმიმდევრობით მოინიშნა საშეჯიბრო ოქმში.

ჭიდაობა ძიუდო (27 მაისი): ავსტრიის ქალაქ ლინცში "გრანპრი" გათამაშდა. საქართველოს ნაკრებ გუნდში იასპარეზა ჩვენებურმა ბაქარ ერაშვილმა (90-კილოგრამამდე წონითი კატეგორია). ის პირველ წრეში თავისუფალი იყო. შემდეგი ორი მეტოქე კი დაამარცხა. მეოთხედფინალში შეუწყვილდა ავსტრიელ თომას შარფეტერს. ჩვენდა დასანანად, გამარჯვება მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელს დარჩა. ამიტომ ბაქარი გადაერთო დამამშვიდებელ ეტაპზე, სადაც პირველივე ორთაბრძოლა დათმო ბრაზილიელ მარსელო გომეშთან. ასე რომ, ლინცის ტატამზე მან მედალი ვერ გამოადნ.ო... სამი კვირის შემდეგ ბაქარ ერაშვილი კიდევ ერთ შეჯიბრებაში გამოვიდა – ამჯერად ყაზახეთის "გრანდსლემზე". ადგილობრივ მეტოქეს პირველივე ორთაბრძოლაში გადაეყარა და შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა, თუმცა საბოლოოდ, აქაც ვერ მოხვდა მედალოსნებში.

საცხენოსნო დღი (11 ივნისი): მესამე წელია, რაც კავთურის ხეობაში მაისის რომელიმე დღესასწაულთან დაკავშირებით, დღეს მართავენ წინარეხელი ახალგაზრდები. შარშან და შარშანწინ ეს დაუკავშირეს გიორგობასა და საოცდაექვსმაისო ზეიმებს, წელს კი, წვიმიანი მაისის გამო, გადმოსწიეს და "კავთობის" დღეს ჩაატარეს, რამაც 11 ივნისს უწია... ძლევის ქედიდან ("კოდეების" ველიდან) სოფელ კავთისხევში გადმოინაცვლეს და სადღეს ადგილად შეარჩიეს სოფლის ტერიტორიული მიწების ე. წ. "იორამის გორის" სამხრეთის ფერდობის ძირში, "გიგუაანთ ფარეხების" მიმდებარე მინდორი.

დღეში მონაწილეობისათვის ქ. კასპიდან და სოფლებიდან შეიკრიბა ცხენოსნობის მოყვარული 14 ახალგაზრდა (რეგისტრაციის ნომრების მიხედვით): ლევან ედიშერაშვილი (ხოვლე), გიორგი კაციაშვილი (თვალადი), გიორგი ედიშერაშვილი (ხოვლე), თორნიკე ბოგველი (მეტეხი), ლაზარე ონიკაშვილი (კასპი), ლევან შოშიტაშვილი (ცხენი "რაკეტა"), საბა კავთიაშვილი (თვალადი), დემეტრე მერებაშვილი (ნიჩბისი, მცხეთა), აკო სუსანაშვილი (ნიაბი), ლაშა თინიკაშვილი (მეტეხი), ბაჩო ბედოიძე (წინარეხი), გიორგი კავთიაშვილი (კავთისხევი), ანზი მაზმიშვილი (ჩოჩეთი) და დიმიტრი ხალიბეგაშვილი (კავთისხევი).

საინტერესოა, რომ გამარჯვებულთა საუკეთესო სამეული პირველი ხუთეულიდან გამოვლინდა. აი, ისინიც: ჩემპიონი – ცხენი "ჯოი", მხედარი ლაზარე ონიკაშვილი (ქ. კასპი). მეორე ადგილი – ცხენი "რაკეტა", მხედარი თორნიკე ბოგველი (სოფ. მეტეხი), მესამე – "ქვირა" (გიორგი კაციაშვილი, თვალადი).

კარატე (16–19 ივნისი): ბათუმის ღია პირველობის მედალოსანი გოგო-ბიჭები კასპიდან: დავით დავითაშვილი, ლანა დავითაშვილი, თამარ აზმაიფარაშვილი, მარიამ ბაკიძე და ვლადიმერ პაპიაშვილი (მწვრთნელი ალექსანდრე მანძულაშვილი).

მაისის ბოლოსწინა დღეს ქ. თბილისში გოგონათა ის გუნდები შეიკრიბნენ, რომლებმაც სასკოლო სპორტული ოლიმპიადა – 23-ის პროგრამით მიმდინარე გათამაშებაში აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში გამარჯვებული გამოვიდნენ. შიდა ქართლის მხარე იქ წარმოადგინა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სამთავისის საჯარო სკოლის მოსწავლე გოგონათა გუნდმა – რეგიონის ჩემპიონის რანგში (სკოლის დირექტორი – ლელა ჩერქეზიშვილი, სპორტის მასწავლებელი – ლალი ხარაიშვილი).

სამთავისელმა გოგონებმა მანამდე ჯერ მუნიციპალურ პირველობაზე გაიმარჯვეს, შემდეგ კი ქ. ხაშურში პირველობა ირგუნეს ადგილობრივ და გორის ჩემპიონებთან საკმაოდ დაძაბულ ორთაბრძოლებში. და, აი, ქ. თბილისი, სადაც ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის დარბაზში გაიმართა აღმოსავლეთ საქართველოს მინიფეხბურთელ გოგონათა გუნდების პირველობის ფინალური ეტაპი.

საბოლოოდ, მოხდა ისე, რომ, რამდენიმე

საფეხბურთო ტალღაზე

ქალთა ფეხბურთი სამთავისში

გარემოების გაუთვალისწინებლობის გამო, სამთავისელებმა ყველაზე გადამწყვეტი, ფინალური ორთაბრძოლა დათმეს ქ. ბორჯომის №6 საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდთან და ვიცე-ჩემპიონობას დაჯერდნენ. მართალია, ქვეყნის ჩემპიონობისათვის შემდგომი ეტაპის საგზურს ვერ შეწვდნენ, მაგრამ ასეთი შედეგიც მისასალმებელია, გვახარებს და გვაიმედებს.

ყოჩაღ, სამთავისელო ფეხბურთელო გოგონებო და მათი დამკვალიანებლებო!

აი, ისინიც, ჩვენი საამაყო გოგონები: ანა გამხიტაშვილი, ლიზი გამხიტაშვილი, მარიამ შიოლაშვილი, ნატალი რუსიტაშვილი, ბარბარე ბალხამიშვილი, იზა მანძულაშვილი, მედეა ხალიბეგაშვილი და ციალა მცხვეთაძე.

(პ. ს.: ორი მათგანი, ანა გამხიტაშვილი და მარიამ შიოლაშვილი, ამჟამად, საქართველოს ქალთა ფეხბურთის პირველობის ლიგა – 2-ში მოასპარეზე "გორი იუნაიტედის" გუნდის შემადგენლობაში თამაშობს, ხოლო ნატალი რუსიტაშვილი მცხეთის გუნდის ღირსებას იცავს).

ის ფაქტი, რომ სოფელ სამთავისში ქალთა ფეხბურთი სადღეისოდ სულ უფრო პოპულარული ხდება, ამას სათანადო საფუძველი და ისტორია გააჩნია (თუმცა, ეს უკვე სხვა თემაა და სახვალიოდ სათქმელი).

შტანგის მომთვინიერებლები

4 ჩემპიონი ერთი შეჯიბრებიდან

კლასიკური სამჭიდი, წოლჭიმი (13–14 მაისი): ქ. დედოფლისწყაროში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატში საუკეთესო შედეგები დააფიქსირეს კასპის სასპორტო გაერთიანების ფიტნესკლუბი "ამირანის" სპორტსმენებმა (მწვრთნელი გია მერებაშვილი). მათ ახალგაზრდულ და ჭაბუკურ ასაკობრივ ჯგუფებში 2–2 პირველი ადგილი დაიკავეს:

ახალგაზრდებს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონები გახდნენ სიმონ ორბელაშვილი და გიორგი კრუპნოვი. პირველი გამოვიდა 69-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში, მეორე – 73-ში. ისინი 21 წლისანი არიან. მათ შარშანდელი ჩემპიონობაც შეინარჩუნეს და წინა წლებისაც. ახლა მათ გამარჯვებათა ნუსხას უძღვის განსაზღვრება "მრავალგზის".

გაგვახარეს ჭაბუკებმაც, კერძოდ, 14 წლის ავთო ბაინდურაშვილმა (54-კილოგრამამდე მოასპარეზეთა შორის) და 17 წლის სოსო ბერიშვილმა (84-ის წონით კატეგორიაში). ისინი ჩემპიონატის დებიუტანტები იყვნენ და ჩემპიონობას კი შესწვდნენ.

საქართველოს ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლის შემდეგ, ერთი კვირის თავზე, სიმონ ორბელაშვილი გაემგზავრა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც 20–27 მაისს მსოფლიო პირველობა მიმდინარეობდა. კასპელი ახალგაზრდა წოლჭიმელი იქიდან ვერცხლის მედლით დაბრუნდა! ეს სასახელო წარმატებაა მუნიციპალური სპორტის წლევანდელ ისტორიაში.

წლევანდელი ზაფხულის ბოლოს, 25 აგვისტოს, საფრანგეთში ევროპის პირველობა გაიმართება. მასში გამოსვლის რეალურ კანდიდატებად მოიაზრებიან სიმონ ორბელაშვილი და გიორგი კრუპნოვი.

გიორგი სააკაძის ფენომენი



2 ივნისს გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა შეხვედრა პოეტსა და საზოგადო მოღვაწესთან, პროფესორ ვაჟა ოთარაშვილთან.

მოეწყო წიგნის - ''გიორგი სააკაძის ფენომენი და თარხან-მოურავები''-პრეზენტაცია.

ავტორმა ქართულ და უცხოურ საარქივო წყაროებზე დაყრდნობით საინტერესოდ ისაუბრა და საზოგადოებას გააცნო ახლადმოძიებული მასალები გიორგი სააკაძის შესახებ, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

შეხვედრა ახალგაზრდა მწერლებთან

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანებამ (დირექტორი ეთერ ჩადუნელი) უმასპინძლა გამომცემლობა "წიგნი + ერი"-ს (დირექტორი მზია რაზმაძე).

დამსწრე საზოგადოებას წარედგინა ამ გამომცემლობაში გამოცემული ლიტერატურა და მოეწყო შეხვედრა ახალგაზრდა მწერლებთან: თეა ირემაშვილთან, სოფო ჯაყელთან, გიორგი ლომიძესთან და გიორგი ტაბიძესთან.

შეხვედრა გახსნა ეთერ ჩადუნელმა. გამომცემლობის დირექტორმა მზია რაზმაძემ საინტერესოდ და ვრცლად ისაუბრა გამომცემლობის საქმიანობაზე, დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა გამომცემლობის მიერ შემოთავაზებული ლიტერატურა და წარადგინა ახალგაზრდა მწერლები.

შეხვედრას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზურაბ კოპაძე, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, საზოგადოების წარმომადგენლები.

გაიმართა წიგნების გამოფენა - გაყიდვა.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება.

,,ლადო კოტეტიშვილი - XX საუკუნის უცნობი სული''

კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, სასწავლო წლის მიწურულს, ბიოლოგიის წრის მოსწავლეთა ძალებით, რომლის ხელმძღვანელიც გახლავთ ქალბატონი ლეილა ხელაშვილი, ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით: „ლადო კოტეტიშვილი - XX საუკუნის უცნობი სული.''

ლადო კოტეტიშვილს ქართული საზოგადოება იცნობდა, როგორც პრაქტიკოს ექიმს, ნევროპათოლოგს, ძველი ქართული კარაბადინების პირველ გამომცემელს, რითაც მან ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებლის სახელი დაიმკვიდრა. ეს წოდება დიდმა ივანე ჯავახიშვილმა მიანიჭა მას, როდესაც ლადო კოტეტიშვილმა გამოსცა შუა საუკუნეების სამი უძველესი ძეგლი – "უსწორო კარაბადინი" (X ს.), "წიგნი სააქიმოა" (XIII ს.) და "იადიგარ დაუდი" (XVI ს.) სრული მეცნიერული აპარატით, ვრცელი წინასიტყვაობით, ლექსიკონითა და საძიებლით.

ლადო კოტეტიშვილი, როგორც მწერალი ქართულმა საზოგადოებამ გვიან გაიცნო, როცა მისი მოთხრობები დაიბეჭდა ჟურნალში "ლიტერატურული პალიტრა" 2012–13 წლებში. ჟურნალის რედაქტორის ბატონ ზაალ ჩხეიძისათვის, როგორც თავად აღნიშნავს, ეს იყო ნამდვილი აღმოჩენა.

ლადო კოტეტიშვილის ქალიშვილი იხსენებს: "ოჯახის წევრებისთვისაც კი გვიანობამდე არ იყო ცნობილი მისი ლიტერატურული გატაცების შესახებ, თუმცა ხედავდნენ, რომ ლადო თავისუფალ დროს სამუშაო კაბინეტში იკეტებოდა და წერდა. თავისებური კაცი იყო, როგორც ჩანს, საიდუმლოდ წერდა და გამოქვეყნებას არ ფიქრობდა. თავის მოთხრობებში მან გამოხატა კომუნისტური

(დასასრული გვ8.).

ყველი, რომელიც ცხემშობლოთ ფეხვრილა

ლით არა ერთი ფეხსაცმელი რომ გაცვითეს, უზენაეს სასამართლოში რომ დავყავდით, სხვა დრო როგორ იქნებოდა.

ლინოტიპისტი შოთა რევაზიშვილი აკი ღირსების მედალზეც წარვადგინეთ, მაგრამ გასაგები ჩაწყობების გამო არაფერი გამოგვივიდა.

წლების მერე ეს ამბავი რომ გაიგო, რედაქციაში შემოვიდა ღიმილგადაფენილი - "თქვენ რა ჩემი სოფლელი ბღარებივით მოქცეულხართო..."

თავისი სპეციფიკური გამოთქმები ჰქონდა, ყველამ რომ დავიზეპირეთ და შემდეგ თავისი "იარაღით ვებრძოდით"

"- შოთიკ, მოგეწონა წერილი?"

ამ კითხვას განაჩენივით ვისმენდით, ლინოტიპთან "დაბერებულს" რას გამოაპარებდი. თუ მოწონდა წერილი, გეტყოდა, თუ არა ღიმილით ჩაილაპარაკებდა "ავტორი ნამეტანი ფილაფოსობსო".

სადღესასწაულო ნომერი იმ სინამდვილეში განსაკუთრებული ზრუნვის საგანი ხდებოდა. უშოქობაში რამდენი წელი ჩამოიმარცვლაო - იტყოდა უგემოვნო ვაი ავტორი. ჩვენ კი ვიხსენებთ იმ სინამდვილეს და თავად არ გვჯერა, რამდენი ახალი წელის შესახვედრად (მთელი სტამბა რედაქცია!) 12 რომ 20 წუთი აკლდა, გავრბოდით სახლებში ... და ძლივს ვასწრებდით ...

ერთი სიტყვით, უშუქობაში სინათლე მართავდა გაზეთის ცხოვრებას. საქართველოში რამდენი გაზეთი დაიხურა ელექტროენერგიის უქონლობის გამო, თან მათ არ ჰყავდათ ჩვენნაირი ერთგული შოთა რევაზიშვილი.

ჩვენი საერთო საფიქრალი მარტო გაზეთის გამოცემით არ შემოიფარგლებოდა, ახლებური სტამბა გვინდოდა შეგვეძინა ერთად. კარგა ხანია ეს სურვილი გაქრა, საბაზრო ეკონომიკის შეუჩვეველმა სინამდვილემ თავისი გმირები იპოვა. მტაცებლის ინსტიქტის გარეშე დარჩენილები ქედს ვიხრით შენი ხსოვნის წინაშე.

შოთა, მადლობა თანადგომისთვის, ერთგულებისთვის, საქმისთვის თავდადებული, მოკრძალებული მსახურებისთვის. სანამ ჩვენი გაზეთი იარსებებს, აუცილებლად გვემახსოვრება, როგორი ერთგული ადამიანი გვყავდა ...

მშვიდობით, მეგობარო.

,,ლადო კოტეტიშვილი -XX საუკუნის უცნობი სული,,

დასასრული. დასაწყისი გვ. 7.

რეჟიმის მთელი სიმძიმე. ის წუხდა იმ სატკივარზე, რისი გამჟღავნებაც მაშინ აკრძალული იყო.

ცხოვრებას იმედგაცრუება და შეზღუდვები მოჰყვა. სულის მოთქმის საშუალება არ ჰქონდა და წერა დაიწყო. აი, სწორედ ამ დროს მიმართა მხატვრულ პროზას, როგორც გადარჩენის ერთადერთ გზას. სეზამის კარი თამამად შეაღო და ამღერებული რიტმული პროზა, საოცარი მეტაფორული აზროვნება, მისი მხატვრული სამყარო, პიროვნების თვითგამოხატვის საშუალებად იქცა. ლადო კოტეტიშვილი მრავალმხრივ ნიჭიერი კაცი იყო! წერდა მოთხრობებს, ოთხი რომანის ავტორია, ხატავდა, ძერწავდა, აკეთებდა აპ-

ლიკაციებს. მამა მოქანდაკე იყო. მან გამოაქანდაკა დედაჩემის ბებია — მანანა ჭავჭავაძე, ჩემი უფროსი დით, იათოთი ხელში,



მელანქოლიკი, ვაჟა-ფშაველა და სხვა.”

ვაჟა-ფშაველას ნეშტთან ქაშუეთში ლადო კოტეტიშვილს ღამე გაუთენებია, თავის მეგობარ, ცნობილ ხელოვნებათმცოდნესთან და პოლიგრაფისტთან, ბენო გორდეზიანთან ერთად. იქ ჩანახატი გაუკეთებია. სახლში დაბრუნებისას კი გამოუქანდაკებია. დღეს ვაჟა-ფშაველას ეს ბიუსტი ლიტერატურის მუზეუმში ინახება.

შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად ვხედავთ, როგორ მრავალმხრივ შემოქმედთან გვაქვს საქმე. მის ნაწარმოებებს ფართო საზოგადოება არ იცნობს მცირე ტირაჟით გამოცემული ერთადერთი წიგნის გამო.

“კეთროვანთა ზღაპრები” ჯერჯერობით მხოლოდ წარმოდგენას გვიქმნის ჩვენებური ავტორის მწერლურ ნიჭზე და ადვილი მისახვედრია რომ წინ საინტერესო აღმოჩენები გველოდება.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

ქალაქ კასპში გორგასლის ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

გორგასლის ქუჩაზე ასფალტის პირველი ფენის დაგების სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერის პირველი მოადგილე დავით ქისიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ადგილზე გაეცნენ.

1003 გრძივი მეტრი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს “ენდიროუდი” ახორციელებს და მისი ღირებულება 758 737 ლარია. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდის და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

როგორც ვახტანგ მაისურაძემ აღნიშნა: გორგასლის ქუჩაზე ასფალტის საფარი არასდროს ყოფილა, მოსახლეობა კი გადაადგილებას მალე მოწესრიგებული ქუჩით შეძლებს.

სოფელ სასირეთის სარწყავი არხების მოწყობის სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტში “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” პროექტების განხორციელება დაიწყო.

თელიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სასირეთის სარწყავი არხების მოწყობის სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა ადგილზე მოინახულეს.

არსებული არხები გაუვალი იყო და მიმდებარედ მცხოვრებ ოჯახებს პრობლემას უქმნიდა. ამჟამად მიმდინარეობს ტერიტორიის გასუფთავება, რის შემდეგაც მოეწყობა მონოლითური რკინა-ბეტონის არხიგამშვები ფარისა და მოსახლეობის სანაკადლოების გათვალისწინებით. არხების რეაბილიტაციას შპს “დანიქონსთრაქმშენი” ახორციელებს.

2023 წელს კასპის მუნიციპალიტეტს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში, 950 000 ლარი გამოეყო. თანხა მუნიციპალიტეტის ყველა სოფელზე განაწილდა.

- განსახორციელებელი პროექტები მოსახლეობის გადაწყვეტილების საფუძველზე შეირჩა და მიმდინარე წელში დასრულდება - განაცხადა ვახტანგ მაისურაძემ.

გზნიადი ჩვენი მკითხველია!

ჩვენი გზნიადიც იქ ვლგილი თ ჯ ვ ე ნ ი ჩიეყლოვმიცვთვიც ვჩიც გვთვვლიცწინებოლი! იცვჩგებლეთ ჩვენი ცვჩიეყლოვმი მიმცვცხოჩებით!

,,ხვლი გზნიადი,, იძებს ცვინდერებლი ცოჩვთებს ჩვიონიც ცვგვზეთი ფოდო-მვდიანიც შეცვქმნელოვდ. მოგმვრთვეთ თხოვნით - ლვდოვეთ თ ჯ ვ ე ნ ი ყ ვ ლ ი მვდიანეში! გვმოგვიგზვნეთ ცვინდერებლი ფოდოები!

მენაბდიშვილები: სიმღერა - ექვსი თაობის თანამგზავრი

(დასასრული).

სოები იყვნენ და არაერთ რესპუბლიკურ ოლიმპიადასა და ფესტივალში გაიმარჯვეს! აი, ამ გუნდში აიდგეს ფეხი შემდგომში კასპში ცნობილმა მომღერლებმა: ტარიელ გურგენიძემ, ჯემალ ყაზარაშვილმა, ლექსო კორხელმა...

აღსანიშნავია, რომ თითქმის იმავე პერიოდში კასპში ალექსანდრე მენაბდიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ინსტრუმენტული ანსამბლი “ფანტელი”. მასში უკრავდნენ: შალვა ტატუნაშვილი, ჯემალ ყაზარაშვილი, ტარიელ გურგენიძე, ნუკრი გიგოლაშვილი (მისი დისწული), თენგიზ აბდუშელიშვილი...

1966 წელს კასპის პირველი სკოლის მომღერალთა გუნდმა, როცა პირველ დიდ წარმატებას მიაღწია — თბილისის ოპერის თეატრში გაიმარჯვა ოლიმპიადაში — პირველადგილოსანი გუნდის შემადგენლობაში ყველაზე უმცროსი წევრი იყო პირველკლასელი ზაზა მენაბდიშვილი (ხელმძღვანელის ვაჟიშვილი). აი, 57 წლის შემდეგ რას და როგორ იხსენებს ბატონი ზაზა:

— თბილისური გალაკონცერტის ჩემი პირველი მოგონება მარად გაუხუნარი და დაუვიწყარია: ჩვენი სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ ტარიელ გურგენიძემ გუნდთან ერთად შეასრულა კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის სიმღერა “სამშობლო”. მან სოლო იმდენად მაღალოსტატურად იმღერა, რომ ოლიმპიადის კომპეტენტური ჟიურის წევრებს ეჭვიც კი დაებადათ და კასპელი მოსწავლე მიწვეულ პროფესიონალ მომღერლად მიიჩნიეს!

... 1972 წლიდან ალექსანდრე მენაბდიშვილმა აქტიურ სამსახიობო კარიერას თავი დაანება (საამისო მიზეზად ისიც გაიხადა, რომ მოხუცი მშობლებისათვის უნდა მიეხედა, — ჩვენებური კაცის ცხოვრების პრინციპი ხომ მოგეხსენებათ, თაობათაშორის ვალდებულებების აღსრულებას რომ ბადებს) და კასპში დაინიშნა რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ.

(დასასრული. დასაწყისი იხ. გაზეთი “ახალი განთიადი” (№4, აპრილი, 2023 წ.).

გაზეთი ,,ახალი განთიადი,, თანაუგრძნობს ამირან ჭალახაძეს დის შვილიშვილის თინიკო მურჯიკნელის ტრაგიკული გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი საკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76